საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8662/01
10/09/2020

8662-01-2-202009100945

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“
მის: ქ. ბათუმი, ი. აბაშიძის ქ. N6, ბ 2-3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 26 აგვისტოს №13567 წერილი, რომელიც ეხება შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ „სხალთა ჰესი“-ს ქვესადგურის „შუახევი ჰესი“-ს ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- განცხადებაში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ახალი ნუმერაციით N72-N73 ანძებს შორის 2019 წლის პროექტით განსაზღვრული ერთი ანძა ამოღებულია, თუმცა ნახაზის მიხედვით აღნიშნულ მონაკვეთზე ძველი ნუმერაციის N73 და N74 ანძები არის ამოღებული პროექტიდან, რაც საჭიროებს დაზუტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სურათზე(2.3.1) 2019 წელში მიღებული პროექტის დერეფანი აღნიშნულია წითელი ფერით, ხოლო 2020 წელში შეტანილი ცვლილებებით განსაზღვრული დერეფნის საზღვრები ლურჯი ფერით, თუმცა სურათებზე წითელი ფერით აღნიშნულია 2020 წელში შეტანილი ცვლილებებით განსაზღვრული დერეფნის საზღვრები;
- სკრინიგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ N69 ანძა 2019 წლის პროექტთან მიმართებით იცვლის მდებარეობას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, თუმცა ნახაზის მიხედვით მდებარეობას იცვლის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ უზრუნველყოფს

განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში განმეორებით წარმოდგენას აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე